ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №3/66

(საქონლის შესყიდვაზე გამარტივებული საშუალებით)

CPV 15800000

ქ. თბილისი

21 მაისი 2013წ.

ერთის მხრივ ა(ა)იპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, (შემდგომში წოდებული "შემსყიდველად") წარმოდგენილი კანცლერის, ზურაბ ორჯონიკიძის სახით და მეორეს მხრივ ი/მ ხათუნა შარაძე (შემდგომში წოდებული "მიმწოდებლად"), ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. დანართში (დანართი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს) მოცემული საქონლის მიწოდება.

2. საქონლის მიწოდების წესი და ღირებულება

2.1. მიწოდების ვადაა 31 (ოცდათერთმეტი) მაისი.
2.2. საქონლის ერთეულის ფასი მოცემულია დანართში.
2.3. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 20.65 (ოცი ლარი და 65 თეთრი) ლარს.
2.4. ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებს, დაკავშირებულს მის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, მოსაკრებლებს და სხვა.
2.5. ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

3. მიღება-ჩაბარების წესი

3.1 საქონლის გადაცემა დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დასტურდება „შემსყიდველის" და „მიმწოდებლის" მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.
3.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად „შემსყიდველს" წარედგინება ანგარიშსწორებისათვის საჭირო ყველა სხვა დოკუმენტი.

4. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

4.1.ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, საქონლის მიწოდების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.
4.2.ანგარიშსწორება „შემსყიდველის" მიერ განხორციელდება საანგარიშო ანგარიშ-ფაქტურის (თუ მმიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მან უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ „შემოსავლების სამსახურიდან) და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე.
5.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას:
5.2.1 დროულად უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის მიღება.
5.2.2 უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების დროული გადარიცხვა მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.
5.3 მიმწოდებელი ვალდებულია:
5.3.1 პასუხი აგოს მიწოდებული საქონლის ხარისხზე.
5.3.2 გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.
5.3.3 უზრუნველყოს საქონლის მიწოდება დადგენილი პირობების შესაბამისად.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ფასის 0,1%-ის ოდენობით, არანაკლებ 10 (ათი) ლარისა.
6.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს უფლება აქვს დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ფასის 0,1%-ის ოდენობით.
6.3. საჯარიმო სანქცია არ ათავისუფლებს მიმწოდებელსა და შემსყიდველს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ფორს-მაჟორი

7.1. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

7.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

8.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებაზე კონტროლს განახორციელებს თსსუ-ის ინფრასტრუქტურის დეპარტამენტი და სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი კ. აბულაძე.

10. დამატებითი პირობები

10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები და ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირს.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულების მოშლა შესაძლებელია, თუ ერთ-ერთი მხარე არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და ზიანს აყენებს მეორე მხარეს.

10.4. ხელშეკრულებაში დამატებებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.

10.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

11. დავათა განხილვის წესი

11.1 მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

"შემსყიდველი"

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
ვაჟა-ფშაველას გამზ. №33
საიდენტიფიკაციო ნომერი 211328703
თი ბი სი ბანკი TBCBGE22
ა/ა GE34 TB11 0000 0000 609 229

"მიმწოდებელი"

ი/მ ხათუნა შარაძე
ვაჟა ფშაველას 34
საიდენტიფიკაციო ნომერი 61001005758
პროკრედიტ ბანკის ცენტრალური ფილიალი
ა/ა GE15PC0183600100022388 კოდი 220101922

თსსუ-ს კანცლერი
ზურაბ ორჯონიკიძე

ი/მ
ხათუნა შარაძე

დანართი

№	დასახელება	რაოდენობა	ერთ. ფასი	მთლიანი ღირებულება
1.	სნიკერსი თხილით 378 გრ	1	5.95	5.95
2.	ბანბანერკა 162 გრ+187გრ	1	6.75	6.75
3.	ბომბონერი ფრუტი	1	7.8	7.8
4.	პარკი გრანდი	1	0.15	0.15
	სულ			20.65

თსსუ-ს კანცლერი
ზურაბ ორჯონიკიძე

ი/მ
ხათუნა შარაძე